# კონფერენციის
## პროგრამა და თეზისები

# CONFERENCE
## PROGRAM AND ABSTRACTS



საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

**ქართულ-გერმანული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობები: ისტორია და პერსპექტივები**

პარტნიორი: Partner:

**GEORGIAN-GERMAN LITERARY AND CULTURAL RELATIONS: HISTORY AND PERSPECTIVES**

ეძღვნება ივანე ჯავახიშვილი – 150, ადოლფ ფონ ჰარნაკი – 175

Dedicated to Ivane Javakhishvili – 150, Adolf von Harnack – 175

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5–6 ნოემბერი, 2026<br>November 5–6, 2026 | სამუშაო ენები: ქართული, ინგლისური, გერმანული<br>Languages: Georgian, English, German | ფორმატი: ჰიბრიდული<br>Format: Hybrid | ორგანიზატორი: ეროვნული საბუნებისმეტყველო ბიბლიოთეკა<br>Organizer: National Science Library | conference@sciencelib.ge<br>ტელ: 555338854 |

**6 ნოემბერი, 2026**
**NOVEMBER 6, 2026**

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
**International Scientific Conference**

# ქართულ-გერმნული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობები: ისტორია და პერსპექტივები

# Georgian-German Literary and Cultural Relations: History and Perspectives

**ეძღვნება ივანე ჯავახიშვილი – 150**
**ადოლფ ფონ ჰარნაკი – 175**

**Dedicated to Ivane Javakhishvili – 150**
**Adilf von Harnack – 150**

**კონფერენციის პროგრამა და თეზისები**

**6 ნოემბერი, 2026**

**Conference Program and Abstracts**

**November 6, 2026**

*ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, I კორპუსი:*
*მ. ალექსიძის II შესახვევი, #3*

***National Scientific Library, Building I:***
***3 M. Aleksidze II Lane***

**თბილისი – 2026 – Tbilisi**

## სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

**ნინო პავლიაშვილი –** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

**თამარ ჭუმბურიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

**ლევან ბრეგაძე –** ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

**ნინო პოპიაშვილი –** ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი

**ციცინო პაპიაშვილი** – ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ღია მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის ბიბლიოთეკარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ანთროპოლოგიის მიმართულების დოქტორანტი

## Scientific and Organizing Committee:

**Nino Pavliashvili** – Director of the National Scientific Library of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Tamar Chumburidze** – Assistant Professor at the Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Chief Researcher at the Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts

**Levan Bregadze** – Literary Critic and Scholar, Member of the Gelati Academy of Sciences; Chief Research Fellow at the Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Nino Popiashvili** – Doctor of Philology, Leading Specialist of the Scientific Research and Development Service of the Faculty of Humanities of Ivane Javakhishvili Tbilisi State Universit

**Tsitsino Papiashvili** – Librarian at the Open Science Development Department of the National Scientific Library; PhD Student in Anthropology at the Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**რეგლამენტი: მოხსენება – 15 წუთი**
**დისკუსია – 5 წუთი**
**სამუშაო ენა – ქართული, გერმანული, ინგლისური**

**Time Limit: Presentation – 15 minutes**
**Discussion – 5 minutes**
**Working language – Georgian, German, English**

**10. 30-11.00**

**კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია**

**Registration of the Conference Participants**

*მეჩაბ აღექსიძის II შესახვევი N3, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი*

*Merab Aleksidze Str. II lane N3, Ivane Javakhishvili Tbilisi State University National Scientific Library, Conference Hall*

**11.00 – 11.20**

**კონფერენციის გახსნა**

**Opening of the Conference**

*მეჩაბ აღექსიძის II შესახვევი N3, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი*

*Merab Aleksidze Str. II lane N3, Ivane Javakhishvili Tbilisi State University National Science Library, Conference Hall*

**ნინო პავლიაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

**Nino Pavliashvili** Director of the National Science Library of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**თამარ ჭუმბურიძე** – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერთანამშრომელი

**Tamar Chumburidze** – Assistant Professor at the Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Chief Researcher at the Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts

**ლევან ბრეგაძე –** ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილი-

სის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

**Levan Bregadze** –– Literary Critic and Scholar, Member of the Gelati Academy of Sciences; Chief Research Fellow at the Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**ნინო პოპიაშვილი** – ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი

**Nino Popiashvili** – Doctor of Philology, Leading Specialist of the Scientific Research and Development Service of the Faculty of Humanities of Ivane Javakhishvili Tbilisi State Universit

## 11.20 – 13.00

## I სხდომა
## I Session

*მეჩაბ აღექსიძის II შესახვევი N3, ივანე ჯავახიშვიღის სახელობის თბიღისის სახელმწიფო უნივეჰსიტეტის ეჰოვნული სამეცნიეჰო ბიბღიოთეკა, საკონფეჰენციო დაჰბაზი*

*Merab Aleksidze Str. II lane N3, Ivane Javakhishvili Tbilisi State University National Science Library, Conference Hall*

### სხდომის თავმჯდომარე – თამარ ჭუმბურიძე

### Chairperson – Tamar Chumburidze

### 11:20– 11:40

**ლევან ბრეგაძე**
*გეღათის მეცნიეჰებათა აკადემია; ივანე ჯავახიშვიღის სახელობის თბიღისის სახელმწიფო უნივეჰსიტეტის შოთა ჩუსთაველის ქაჰთული ღიტეჩატუჩის ინსტიტუტი*

**მეტაფორამ იპოვა კონტექსტი**

**Levan Bregadze**
*Gelati Academy of Sciences; Shota Rustaveli Institute of Georgian Literature at Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**A METAPHOR FOUND ITS CONTEXT**

11:40– 12:00

**სოფიო მუჯირი**
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტი*
*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

**ქართული ენის ავსტრიელი ამაგდარი – ჰუგო შუხარდტი**

Sophie Mujiri

AUSTRIAN STALWART OF THE GEORGIAN LANGUAGE – HUGO SCHUCHARDT

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities*

12:00-12:20

**ნარი ჩხაბერიძე**
*საქართველოს ბიზანტინოლოგთა ეროვნული კომიტეტი*
*აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი*

**ისტორიის მეცნიერებისა და ქრისტიანობის ურთიერთმიმართების საკითხი ივანე ჯავახიშვილისა და ადოლფ ფონ ჰარნაკის მიხედვით**

Nari Chkhaberidze
*Georgian National Committee of Byzantinists*
*Institute of Oriental Studies*

THE RELATIONSHIP BETWEEN THE SCIENCE OF HISTORY AND CHRISTIANITY IN THE THOUGHT OF IVANE JAVAKHISHVILI AND ADOLF VON HARNACK

12:20-12:40

**ნინო პოპიაშვილი**
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

**ევსტათი მცხეთელის ნათლობის ადგილის საკითხისათვის: ივანე ჯავახიშვილისა და ადოლფ ფონ ჰარნაკის მოსაზრება**

Nino Popiashvili
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Humanities*

THE QUESTION OF WHERE EUSTATHIUS OF MTSKHETA WAS BAPTIZED: THE VIEWS OF IVANE JAVAKHISHVILI AND ADOLF VON HARNACK

12:40-13:00

**ნუგზარ პაპუაშვილი**
*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*
**ივანე ჯავახიშვილისა და ადოლფ ჰარნაკის თანამშრომლობა ქართული პერიოდული პრესის მიხედვით**

**Nugzar Papuashvili**
*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*
**THE COLLABORATION OF IVANE JAVAKHISHVILI AND ADOLF VON HARNACK ACCORDING TO THE GEORGIAN PERIODICAL PRESS**

13:00-14:00 შესვენება
13:00-14:00 Break

14:00- 16:30

## II სხდომა
## II Session

*მეჰაბ აღექსიძის II შესახვევი N3, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი*
*Merab Aleksidze Str. II lane N3, Ivane Javakhishvili Tbilisi State University National Science Library, Conference Hall*

**სხდომის თავმჯდომარე – ნიკო ჯავახიშვილი**
Chairperson – Niko Javakhishvili

**სხდომის თავმჯდომარე – ნინო პოპიაშვილი**
**Chairperson – Nino Popiashvili**

14:00-14:20

**თამარ ქუმბურიძე**
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტი;*
*კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*
**გერმანელი აღმოსავლეთმცოდნეების ურთიერთობა ქართველ მეცნიერებთან XX საუკუნის მეორე ნახევარში**

Tamar Tchumburidze
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities;*
*Senior Researcher, Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

GERMAN ORIENTALISTS AND THEIR COOPERATION WITH THE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS IN THE SECOND HALF OF THE TWENTIETH CENTURY

14:20-14:40

თამარ ზიგერ-პოპიაშვილი
*შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გერმანული ენის ლექტორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი*

პროექტზე დაფუძნებული სწავლება: გერმანული მემკვიდრეობა ბოლნისსა და ასურეთში

Tamar Siger-Popiashvili
*German Language Lecturer at International Black Sea University*
*PhD Student in Educational Sciences Doctoral Program at Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

PROJECT-BASED LEARNING: THE GERMAN HERITAGE IN BOLNISI AND ASURETI

14:40- 15:00

თინათინ საბაური
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*მოწვეული ლექტორი, მკვლევარი*

ტრანსნაციონალური მეხსიერების ფიგურები, როგორც ტრანსფორმაციული მეხსიერებითი სწავლის მედიატორები გლობალური მოქალაქეობის განათლების ხელშეწყობისთვის;

Tinatin Sabauri
*Ilia State University*
*Invited lecturer, researcher*

TRANSNATIONAL FIGURES OF MEMORY AS MEDIATORS IN TRANSFORMATIVE MEMORY LEARNING FOR THE PROMOTION OF GLOBAL CITIZENSHIP EDUCATION

15:00- 15:20

**ნინო აბრალავა**
*გრიგოლ ჰობაქიძის უნივერსიტეტი*
*ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

**ქართულ-გერმანული კულტურული დიალოგი**

**Nino Abralava**
*Grigol Robakidze University*
*Faculty of Humanities and Social Sciences*
**GEORGIAN-GERMAN CULTURAL DIALOGUE**

15:20- 15:40

**ია ბურდული**
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
**ქართულ-გერმანული რელიგიური დიალოგი – აქტიური შრომა და მისტიკური ჭვრეტა ისტორიოგრაფიულ დისკურსში;**

**Ia Burduli**
*Georgian Technical University*
**GEORGIAN-GERMAN RELIGIOUS DIALOGUE – ACTIVE LABOR AND MYSTICAL CONTEMPLATION WITHIN HISTORIOGRAPHICAL DISCOURSE**

15:40 – 16:30 – კონფერენციის დახურვა

15:40 – 16:30 Conference Closing

# თეზისები
# Abstracts

ნინო აბრალავა
Nino Abralava

*გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი*
*Grigol Robakidze University*
*ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*Faculty of Humanities and Social Sciences*

## ქართულ-გერმანული კულტურული დიალოგი
## Georgian-German Cultural Dialogue

***საკვანძო სიტყვები:*** *ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობები; კულტურათაშორისი დიალოგი; ლიტერატურული თარგმანი; აკადემიური თანამშრომლობა*

***Keywords:*** *Georgian-German cultural relations; intercultural dialogue; literary translation; academic cooperation*

ქართულ-გერმანული ლიტერატურული, კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობები მრავალსაუკუნოვან ტრადიციას ეფუძნება და საქართველოს ევროპულ კულტურულ სივრცესთან ინტეგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე ეს ურთიერთობები ვითარდებოდა პოლიტიკური და საგანმანათლებლო თანამშრომლობის, ლიტერატურული თარგმანის, კულტურული შუამავლობისა და ინტელექტუალური გაცვლის გზით. ნაშრომის მიზანია ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობების ისტორიული განვითარების ძირითადი ეტაპების გააზრება და იმ პიროვნებათა როლის წარმოჩენა, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ორ კულტურას შორის ურთიერთგაგების გაღრმავებაში.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გერმანელ მწერალსა და ქართველოლოგს **არტურ ლაისტს,** რომელმაც ქართული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციით, „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულენოვან სამყაროში გაცნობითა და საქართველოში მრავალწლიანი მოღვაწეობით მნიშვნელო-

ვანი ინტელექტუალური ხიდი შექმნა. ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობების კონტექსტში განხილულია აგრეთვე გერმანელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის **ალფრედ კურელას** განსაკუთრებული დამოკიდებულება საქართველოსადმი. საქართველოსთან დაკავშირებული პირადი ტრაგედიის მიუხედავად, კურელასთვის საქართველო ღრმა სულიერი და ემოციური მნიშვნელობის სივრცედ დარჩა და მისმა დამოკიდებულებამ ქართულ კულტურასა და ქვეყანასთან ურთიერთობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განზომილება წარმოაჩინა.

ნაშრომში ასევე ყურადღება ეთმობა **ჰერმან ვედეკინდის** კულტურულ და თეატრალურ საქმიანობასა და პროფესორ **გერტ ჰუმელის** სამეცნიერო, საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მოღვაწეობას საქართველოში. მათი მაგალითები ცხადყოფს, რომ ქართულ-გერმანული ურთიერთობები არასოდეს ყოფილა ცალმხრივი პროცესი: გერმანული კულტურა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქართულ ინტელექტუალურ სივრცეზე, ხოლო ქართული კულტურა, ლიტერატურა და სულიერი ტრადიციები მუდმივად იზიდავდა გერმანელ მწერლებს, მეცნიერებსა და ხელოვანებს.

ამ კონტექსტში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის ცნობილ ქართველ გერმანისტსა და მთარგმნელს **რევაზ (ბუბა) ყარალაშვილს**, რომლის სამეცნიერო, მთარგმნელობითმა და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გერმანული ლიტერატურისა და კულტურის საქართველოში გაცნობასა და ქართულ-გერმანული ინტელექტუალური დიალოგის გაღრმავებაში.

თანამედროვე ეტაპზე ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს მიმართულებად რჩება განათლება და აკადემიური თანამშრომლობა. სტუდენტური და სამეცნიერო გაცვლები, გერმანული ენის სწავლება, უნივერსიტეტთაშორისი პარტნიორობა და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტები ქმნის ახალ შესაძლებლობებს კულტურათაშორისი დიალოგის გასაღრმავებლად. ისტორიული გამოცდილებისა და კულტურული შუამავლების მემკვიდრეობის გააზრება მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის ქართულ-გერმანული ლიტერატურული, კულტურული და აკადემიური ურთიერთობების შემდგომი განვითარების, ახალი სამეცნიერო ინიციატივებისა და მდგრადი საერთაშორისო თანამშრომლობისთვის.

Georgian-German literary, cultural, and scholarly relations are rooted in a centuries-old tradition and constitute an important foundation for Georgia’s integration into the European cultural space. At different historical stages,

these relations have developed through political and educational cooperation, literary translation, cultural mediation, and intellectual exchange. The aim of this paper is to examine the principal stages of the historical development of Georgian-German cultural relations and to highlight the contributions of individuals who have played a significant role in strengthening mutual understanding between the two cultures.

Particular attention is devoted to the German writer and Kartvelologist **Arthur Leist,** who established an intellectual bridge between Georgian and German cultures through his efforts to promote the Georgian language and literature, his introduction of *The Knight in the Panther's Skin* to the German-speaking world, and his long-standing cultural and literary engagement in Georgia.

The paper also discusses the German writer and public figure **Alfred Kurella** and his deep emotional connection to Georgia. Despite the personal tragedy he experienced in connection with Georgia, the country remained a place of profound spiritual and emotional significance for Kurella, reflecting another important dimension of intercultural exchange.

The paper further examines **Hermann Wedekind's** cultural and theatrical activities as well as Professor **Gert Hummel'**s scholarly, social, and humanitarian work in Georgia. Their examples demonstrate that Georgian-German relations have never been one-sided: German culture has influenced Georgia's intellectual life, while Georgian culture, literature, and spiritual traditions have inspired and attracted German writers, scholars, and artists.

In this context, particular recognition should also be given to the renowned Georgian Germanist and translator **Revaz (Buba) Karalashvili**, whose scholarly, translation, and cultural-educational activities have contributed significantly to the dissemination of German literature and culture in Georgia and the advancement of Georgian-German intellectual dialogue.

Today, education and academic cooperation remain central to these relations. Student and scholarly exchanges, German-language teaching, inter-university partnerships, and international educational projects create new opportunities for intercultural dialogue. An understanding of this historical legacy and the contributions of cultural mediators provides a strong foundation for the further development of Georgian-German literary, cultural, and academic relations, the promotion of new scholarly initiatives, and sustainable international cooperation. Such an understanding also fosters mutual trust and strengthens Georgia's participation in the broader European cultural space.

**ლევან ბრეგაძე**
**Levan Bregadze**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*
*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*გელათის მეცნიერებათა აკადემია*
*Gelati Academy of Sciences*

# მეტაფორამ იპოვა კონტექსტი
# A Metaphor Found Its Context

***საკვანძო სიტყვები:*** *მეტაფორა, ჰეგელი, გალაკტიონ ტაბიძე*

***Keywords:*** *Metaphor, Hegel, Galaktion Tabidze*

გალაკტიონ ტაბიძის დაინტერესება ჰეგელის ნააზრევით, მეტადრე მისი დიალექტიკით, კარგად არის ცნობილი. იგი ხშირად იმოწმებს გერმანელი ფილოსოფოსის შეხედულებებს, მათ შორის პოეტურ ქმნილებებშიც, მაგრამ ზოგჯერ ისეთ ტექსტებსაც ქმნის, სადაც ფილოსოფოსი არ იხსენიება, მაგრამ საგანთა და მოვლენათა მიმართ დიალექტიკური მიმართება მკაფიოდ შეინიშნება. ერთი ასეთი ლექსი გახლავთ „ჰეინეს სტრიქონის გამო“ (პირველად დაიბეჭდა 1940 წელს).

ამ ლექსში გალაკტიონის ინტერესის საგანია ურთულესი საკითხი: ადამიანის ცხოვრებაში რომელს აქვს ფუძემდებლური მნიშვნელობა და რომელს ილუზორული – ბედნიერებას თუ უბედურებას? ლექსში ციტირებულია რომანტიკოსების თვალსაზრისი: „ბედნიერება არის მირაჟი, უბედურება კი რეალობა“, რაც ჰაინრიხ ჰაინეს სტრიქონების დამოწმებით არის განმტკიცებული.

ლექსის ფინალში პოეტი უბედობასა და ბედნიერებას მოძმეებად მოიხსენიებს და გვირჩევს მათ პირად საქმეში ნუ ჩავერევით, რაც ამას უნდა ნიშნავდეს: ისინი ერთმანეთს განაპირობებენ, ამიტომ ძნელია რამე ერთმნიშვნელოვნად ბედნიერებად ან უბედურებად კვალიფიცირდეს. ეს შეხედულება ჰეგელის თვალსაზრისს ეხმიანება, კერძოდ, დაპირისპირებულთა ურთიერთგანმსჭვალვის კანონს, რომელიც განვითარების სამ ზოგად კანონთაგან ერთ-ერთია. „ამ ორი მოძმის პირად საკითხში – ნურავინ ქვეყნად

ნუ ჩაერევით!“ – ეს პოეზიის ენით, მეტაფორულად, გადმოცემული ის კანონია, ზემოთ რომ გავიხსენეთ.

მეტაფორულად გარდათქმული ამ ფილოსოფიური შეხედულების გამოყენება გალაკტიონს სხვა ლექსებშიც უცდია, რასაც მისი ხელნაწერები მოწმობს, მაგრამ ეფექტურად მხოლოდ ამ ლექსში მოუხერხებია ეს.

ყველა სხვა მცდელობა ხელნაწერებში დარჩა. მხოლოდ განსახილველ ლექსში პოვა ამ მხატვრულმა სახემ სათანადო გამოყენება: ჰეგელის ნააზრევის მიხედვით ფორმულირებული ფრაზა ზუსტად მოერგო პოეტის შეხედულებას ბედნიერება-უბედურების ურთიერთმიმართების თაობაზე.

მეტაფორამ ბოლოსდაბოლოს იპოვა კონტექსტი.

Galaktion Tabidze’s interest in Hegel’s thought, and especially in his dialectics, is well known. He frequently cites the German philosopher’s views, including in his poetic works, but at times he also creates texts in which the philosopher is not mentioned, although a dialectical approach to things and phenolmena can be clearly discerned. One such poem is *“On Account of a Line by Heine”* (first published in 1940).

In this poem, G. Tabidze addresses an extremely complex question: which has fundamental significance in human life and which is illusory – happiness or unhappiness? The poem cites the Romantics’ view that “happiness is a mirage, whereas unhappiness is reality,” a view reinforced by a reference to lines by Heinrich Heine.

At the end of the poem, the poet calls unhappiness and happiness kindred beings and advises us not to interfere in their personal affairs. This can be understood to mean that they determine each other, and therefore it is difficult to qualify anything unequivocally as either happiness or unhappiness. This view echoes Hegel’s conception, specifically the law of the interpenetration of opposites, which is one of the three general laws of development. “In the personal matter of these two kindred beings – let no one in the world interfere!” This is the law mentioned above, conveyed in poetic and metaphorical language.

G. Tabidze also attempted to employ this philosophical conception, recast metaphorically, in other poems, as his manuscripts testify, but he succeeded in doing so effectively only in this poem.

All his other attempts remained in manuscript form. It is only in the poem under discussion that this poetic image found an appropriate application: the phrase formulated in accordance with Hegel’s thought fitted precisely the poet’s view of the relationship between happiness and unhappiness.

The metaphor finally found its context.

**ია ბურდული**
**Ia Burduli**

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,*
*Georgian Technical University*

*სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*Faculty of Social Sciences*

# ქართულ-გერმანული რელიგიური დიალოგი – აქტიური შრომა და მისტიკური ჭვრეტა ისტორიოგრაფიულ დისკურსში

# Georgian-German Religious Dialogue – Active Labor and Mystical Contemplation within Historiographical Discourse

***საკვანძო სიტყვები:*** *ადოლფ ფონ ჰარნაკი, წმ. გრიგოლ ფერაძე, მონაზვნობა, კომპარატივისტული ისტორიოგრაფია*

***Keywords:*** *Adolf von Harnack, St. Grigol Peradze, Monasticism, Comparative Historiography*

იდეათა ისტორიაში კულტურული საზღვრები ხშირად არა მხოლოდ მიჯნავს მსოფლმხედველობრივ კონცეფციებს, არამედ წარმოშობს ინტერკულტურული დიალოგის უხილავ ძაფებს.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ბაზელის მისიის გერმანული რელიგიურ-საგანმანათლებლო აქტივობის კონცეპტუალური აღქმისა და ამ პროცესის ქართულ სივრცეში კომპარატივისტული გააზრებისთვის მნიშვნელოვანია ადოლფ ფონ ჰარნაკის ნაშრომი – „მონაზვნობა, მისი იდეალები და ისტორია“ (*Das Mönchtum, seine Ideale und seine Geschichte*, 1881), რომელიც დასავლური პროტესტანტული აზროვნების ბუნების გასააზრებლად ინტელექტუალურ ლაიტმოტივს წარმოადგენს.

თავის კვლევაში ჰარნაკი მონაზვნობას ისტორიულ-პოლიტიკური პროცესების ჭრილში აანალიზებს და მის გენეზისს განიხილავს, როგორც ანტისეკულარულ რეაქციას ეკლესიის ინსტიტუციონალიზაციაზე, რაც IV საუკუნეში რომის იმპერიის მიერ ქრისტიანობის ოფიციალური აღიარებით იყო გამოწვეული. მკვლევარის აზრით, სწორედ იმპერიული კონფორმიზმის საპი-

რისპიროდ წარმოიშვა რადიკალური სამონასტრო მოძრაობა ადრექრისტიანული, ესქატოლოგიური და სახარებისეული იდეალების შესანარჩუნებლად.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მოღვაწეობის დოქტრინალურ დიფერენციაციაზე: აღმოსავლური ბერობა განხილულია მისტიკურ-კონტემპლაციურ ჭრილში, როგორც „ეგვიპტური უდაბნოს ასკეტიზმის“ მემკვიდრე, ხოლო დასავლური ბერობა წარმოჩენილია ორგანიზებულ, შრომით და სოციალურ პროცესად. ავტორის აზრით, გვიანანტიკური ნეოპლატონური მისტიკის ათვისებამ აღმოსავლური მონაზვნობა მოწყვიტა სოციო-კულტურულ პროგრესს და წარმოშვა ეთიკური დუალიზმი, სადაც საერო კონფორმიზმის პარალელურად არსებობდა „ევანგელური რჩევების“ (უპოვარობა, უბიწოება, მორჩილება) ექსკლუზიური სტანდარტი. დასავლეთში კი, იმპერიის კრახით გამოწვეულ ვაკუუმში, ბერობამ შეითვისა რომაული ორგანიზაციული სტრუქტურა და აქტიური პრაქტიკით ევროპული ცივილიზაციის მოდერნიზატორულ ძალად გარდაიქმნა.

ჰარნაკისეული ევროცენტრული მოდელის საპირწონედ, წმ. გრიგოლ ფერაძე ნაშრომში „მონაზვნობის საწყისები საქართველოში“ (Die Anfänge des Mönchtums in Georgien, 1927) დისკურსს იმპერიის მიღმა არსებულ, ორიენტალურ გამოცდილებაში აბრუნებს. გერმანულ კრიტიკულ-ისტორიულ მეთოდოლოგიაში გათვითცნობიერებული სასულიერო მოღვარე, პირველწყაროების მიკრო-ანალიზით, ამსხვრევს სტერეოტიპს აღმოსავლური ბერობის სტატიკურობის შესახებ და აჩვენებს, რომ ქართული მონაზვნობა (როგორც ლოკალურ, ისე სირია-პალესტინის ცენტრებში) კულტურულად დინამიკურ, საგანმანათლებლო და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წამყვან ძალას წარმოადგენდა, ხოლო ასკეტიზმი იყო არა ბოროტების გამო სამყაროდან გაქცევა, არამედ სამყაროს გაწმენდის მცდელობა სულიერი მოღვაწეობით, სულიერი ჭვრეტა კი, ასურელი მამების მაგალითზე, იყო სიყვარულით ნასაზრდოები მოღვაწეობა, ამის დასტურია აგრეთვე მისი ლექსი „ქერუბიმთა ჰიმნი“.

ორივე ნაშრომი – ჰარნაკის ფილოსოფიურ-რიტორიკული მუხტისა და ფერაძის ფილოლოგიური, ხელნაწერთა აღწერაზე ორიენტირებული ტექსტუალური ანალიზის თვალსაზრისით – ინტერდისციპლინური კვლევისა და ტექსტის ლინგვისტური ანალიზისთვის უნიკალურ მასალას იძლევა.

In the history of ideas, cultural boundaries frequently weave invisible threads of intercultural dialogue. To conceptually perceive the activities of the Basel Mission in nineteenth-century Georgia, Adolf von Harnack's seminal work,

*Monasticism: Its Ideals and History* (*Das Mönchtum*, 1881), serves as an indispensable intellectual leitmotif for comprehending Western Protestant thought.

Harnack analyzes monasticism through historical-political processes, positioning its genesis as an anti-secular reaction to the institutionalization of the fourth-century Church. Driven to preserve early Christian, eschatological ideals, a radical monastic movement emerged in opposition to imperial conformism. Harnack emphasizes doctrinal differentiation: Eastern monasticism is examined through a mystical-contemplative lens, whereas Western monasticism is portrayed as an organized, social process. He argues that absorbing late antiquity's Neoplatonic mysticism detached Eastern monasticism from sociocultural progress, creating an ethical dualism. Conversely, Western monasticism assimilated Roman organizational structures, transforming into a modernizing force for European civilization.

As a counterweight to Harnack's Eurocentric model, St. Grigol Peradze, in *The Origins of Monasticism in Georgia* (*Die Anfänge des Mönchtums in Georgien*, 1927), redirects the discourse toward an extra-imperial, Oriental experience. Thoroughly versed in German critical-historical methodology, Peradze utilizes source micro-analysis to shatter stereotypes regarding Eastern monasticism's static nature. He demonstrates that Georgian monasticism constituted a culturally dynamic, educational, and preeminent state-building force. Furthermore, he contends that asceticism was not a flight from the world, but an endeavor to purify it through spiritual labor. Spiritual contemplation, exemplified by the Assyrian Fathers and Peradze's poetic hymn *The Cherubikon*, was an ascetic devotion nourished by divine love.

Both works—spanning Harnack's philosophical momentum and Peradze's philological, textual analysis—provide exceptional material for interdisciplinary research and linguistic inquiry.

**თამარ ზიგერ-პოპიაშვილი**
**Tamar Ziger-Popiashvili**

*შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი*
*International Black Sea University*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

# პროექტზე დაფუძნებული სწავლება: გერმანული მემკვიდრეობა ბოლნისსა და ასურეთში

# Project-Based Learning: The German Heritage in Bolnisi and Asureti

***საკვანძო სიტყვები:*** *პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Projektunterricht); გერმანული მემკვიდრეობა საქართველოში; კატერინენფელდი (ბოლნისი); ელისაბეტთალი (ასურეთი); ინტერკულტურული კომპეტენცია; შემეცნებითი გამოცდილება*

***Keywords:*** *project-based learning (Projektunterricht); German heritage in Georgia; Katharinenfeld (Bolnisi); Elisabethtal (Asureti), intercultural competence; cognitive experience*

საქართველოსა და დასავლეთ ევროპას დიდი ხნის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის ისტორია აკავშირებს, რომლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დადასტურებაა ბოლნისისა და ასურეთის ისტორია. 1817-1818 წლებში ვიურტემბერგიდან ჩამოსახლებულმა გერმანელმა შვაბებმა საქართველოში დააარსეს დასახლება: ბოლნისსა და ასურეთში. ეს სახელწოდებები დროთა განმავლობაში არაერთხელ შეიცვალა: ბოლნისს, თავდაპირველად, კატერინენფელდი ეწოდებოდა, მოგვიანებით ლუქსემბურგი, ხოლო 1944 წლიდან ბოლნისი. ასურეთის ისტორიული სახელწოდება მათ მიერ მინიჭებული სახელი ელისაბეტთალი იყო.

ბოლნისსა და ასურეთში ძირითადად ჩამოსახლდნენ ლუთერანები და პიეტისტები ვიურტემბერგიდან. პიეტისტებს ღრმად სწამდათ, რომ მოახლოებულ კატასტროფას, კავკასია და არარატის მთის მიმდებარე რეგიონი, გადაურჩებოდა. ეს იყო სწორედ ის ადგილი, სადაც, ბიბლიური გადმოცემით, ნოეს კიდობანი იყო. ეს რწმენა მათი კავკასიისკენ მიგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იყო.

ზემოაღნიშნულ ორივე დასახლებაში დღემდე შემონახულია გერმანული არქიტექტურის მატერიალური მემკვიდრეობა – გოთური ქირჰე (Kirche) – Fachwerk ტიპის (ხის კონსტრუქციით აგებული) სახლები და ტრადიციული ღვინის მარნები, რომელებიც კოლონისტთა ყოფასა და კულტურას პირდაპირ ასახავს. ეს მემკვიდრეობა წარმოადგენს ვიზუალურად ხელშესახებ და ავთენტურ ადგილობრივ მასალას, რომელიც პროექტზე დაფუძნებული სწავლების (Projektunterricht) ჩარჩოში განსაკუთრებულ შემეცნებით ღირებულებას იძენს.

ადგილობრივი მასალის ასეთი შესწავლა-გამოყენება სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, უცხო ენა და კულტურა აღარ აღიქვას როგორც დისტანცირებული ფენომენი, არამედ – მიიღოს როგორც საკუთარი გეოგრაფიული და ისტორიული სივრცის ნაწილი. ეს მიდგომა თანხვედრაშია Handlungsorientierung-ის (პრაქტიკულ ქმედებაზე ორიენტაციის) პრინციპთან, რომლის თანახმად, ცოდნა მიიღება საკუთარი დაკვირვების, აღმოჩენისა და კვლევის შედეგად.

ბოლნისისა და ასურეთის მაგალითით, პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს, ენობრივი კომპეტენციის პარალელურად, ისტორიული და ინტერკულტურული ცნობიერების განვითარებასაც. სტუდენტი სწავლობს, ხედავს და შეიმეცნებს, საუკუნეების განმავლობაში როგორ თანაარსებობდა ორი კულტურა ერთსა და იმავე სივრცეში. ეს ურთიერთობა ჰარმონიული და შემოქმედებითი იყო. ამას მოწმობს იქ დღემდე არსებული გერმანელების შექმნილი და დანატოვარი სახლები, ის საოჯახო ინვენტარი, რომელიც დღემდე ცოცხლობს, დაცულია და მნახველებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

ამრიგად, მოხსენებაში ხაზგასმით იქნება გაანალიზებული ის ისტორიული პერიპეტიები, რომლებიც მნიშვნელოვანია გერმანულ-ქართული ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით. საერთაშორისო პედაგოგიური თეორია და ადგილობრივი ქართული კონტექსტი უმნიშვნელოვანესია. პროექტზე დაფუძნებული სწავლება სტუდენტს სთავაზობს ცოდნის შეძენის აქტიურ, რელევანტურ გზას, ტრადიციული გაკვეთილის (ლექცია-სემინარების) ჩარჩოებს გარეთ. ეს იქნება მათი ცოდნის გაღრმავებისა და გამდიდრების მნიშვნელოვანი საშუალება.

Georgia and Western Europe share a long history of friendship and cultural exchange, and one of its most striking testimonies is the history of Bolnisi and Asureti. In 1817-1818, German Swabians who had emigrated from Württemberg

founded settlements in Georgia: Bolnisi and Asureti. The names of these settlements changed several times over the years. Bolnisi was originally called Katharinenfeld, later Luxemburg, and since 1944 it has been known as Bolnisi. The historical name of Asureti, given to it by the settlers, was Elisabethtal.

The settlers of Bolnisi and Asureti were mainly Lutherans and Pietists from Württemberg. The Pietists firmly believed that the Caucasus and the region around Mount Ararat would be spared from an approaching catastrophe. According to the biblical account, this was the very place where Noah's Ark had come to rest. This belief was one of the important reasons for their migration to the Caucasus.

In both settlements, the material heritage of German architecture has been preserved to this day: the Gothic church, Fachwerk-style houses (timber-framed structures), and traditional wine cellars, which directly reflect the everyday life and culture of the colonists. This heritage is visually tangible, authentic local material, and it acquires special cognitive value within the framework of project-based learning (Projektunterricht).

Studying and using local material in this way enables students to stop perceiving a foreign language and culture as a distant phenomenon and to see it instead as part of their own geographical and historical space. This approach is consistent with the principle of Handlungsorientierung (action orientation), according to which knowledge is gained through one's own observation, discovery, and research.

Using Bolnisi and Asureti as an example, project-based learning fosters not only language competence but also historical and intercultural awareness. Students learn, see, and come to understand how two cultures coexisted in the same space over the centuries. This relationship was harmonious and creative, as evidenced by the dwellings and houses built and left behind by the Germans, and the household furnishings that have been preserved to this day and make a strong impression on visitors.

Thus, the paper will place particular emphasis on analyzing those historical developments that are significant for the history of German-Georgian relations. International pedagogical theory and the local Georgian context are of the utmost importance. Project-based learning offers students an active, relevant way of acquiring knowledge beyond the framework of the traditional lesson (lecture-seminar format). It will be an important means of deepening and enriching their knowledge.

**სოფიო მუჯირი**
**Sophie Mujiri**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*I.javakshishvili tbilisi state university*
*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*faculty of humanitarian sciences*

# ქართული ენის ავსტრიელი ამაგდარი – ჰუგო შუხართი
# Austrian Stalwart of the Georgian Language – Hugo Schuchardt

***საკვანძო სიტყვები:*** *ჰუგო შუხართი, მოღვაწეობა, ქართული ენა*

***Keywords:*** *Hugo Schuchardt, scholarly work, studies of Georgian languag*

მოცემული ნაშრომი ეხება ცნობილი ავსტრიელი ენათმეცნიერის, ჰუგო შუხართის (1842-1927) ქართველოლოგიურ მოღვაწეობას, მის მჭიდრო კავშირს ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან და მიმოწერას ქართულ სამეცნიერო საზოგადოებასთან.

ჰ. შუხართი, ქ. გრაცის უნივერსიტეტის პროფესორი და ვენის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ფლობდა ოცდაათამდე უცხოურ ენას, მათ შორის ქართულს. ის იყო თოთხმეტი ქვეყნის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი და მეცნიერებათა აკადემიის წევრი. მის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომთა რაოდენობა აღწევს 770-ს.

მოცემულ ნაშრომში განხილულია ჰ. შუხართის მიერ მოპოვებული ძველი ქართულ ხელნაწერების, მათ შორის, VII საუკუნის „ხანმეტი ლექციონარის“ ისტორია, მისი მიმოწერა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან (ი. ჭავჭავაძე, ა. ცაგარელი, პ. მელიქიშვილი, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, დ. ჯანაშვილი, ა. ხანანაშვილი, ა. შანიძე), რომელიც უმთავრესად უკავშირდება ქართული ხელნაწერების და ქართული გრამატიკის საკითხებს. ჰ. შუხართს გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი კავკასიური და ქართული ენების თავისებურებების შესახებ. მან პირველად მიუთითა ისეთ ენობრივ მოვლენებზე, რომელიც მაშინ ქართველი სპეციალისტებისთვისაც არ იყო ცნობილი (მაგ. მკვეთრი თანხმოვნების ანუ აბრუპტივების და მახვილის თავისებურება ქართულში, გარდამავალი ზმნის რაობა, პასიური ხასიათი ტრანზიტივისა კავკასიურ ენებში, ქართული „ყე“ ნაწილაკი, „ქართველურ ენათა

გეოგრაფია სტატისტიკისათვის“ და სხვ.). მის ყველა ნაშრომში ჩანს მისი ღრმა ერუდიცია და სხარტი გონება. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ჰ. შუხართს ქართველური ენების ნათესაობაზე საკუთარი მოსაზრებები აქვს გამოთქმული. მან ლინგვისტიკაში პირველმა გაუკაფა გზა ტერმინს, „ქართველური ენები“. ჰ. შუხართს შესწავლილი ჰქონდა როგორც ძველი, ასევე ახალი ქართული, ჭანურ-მეგრული და სვანური. ის იცნობდა მთელ ლიტერატურას, რომელიც ეხებოდა კავკასიის ენათმეცნიერებას. მისი ნაწერები მოიცავდა რეცენზიებს და კრიტიკულ წერილებს სხვადასხვა ავტორის თხზულებათა შესახებ (ა. ცაგარელის, ს. ხუნდაძის, ა. დირის, ჰ. აჭარიანის და სხვ.). მაგრამ ჰ. შუხართის განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო ქართული ხელნაწერები და გრამატიკა. ჰ. შუხართის მოღვაწეობამ დასაბამი დაუდო ქართული და ქართველური ენების აღწერით და ისტორიულ-შედარებით კვლევებს, რომლებსაც ინტენსიურად სწავლობდნენ შემდგომშიც.

The paper examines the Kartvelological activities of the renowned Austrian linguist Hugo Schuchardt (1842–1927), his close links with prominent Georgian public figures and his correspondence with the Georgian scholarly community. H. Schuchardt, a professor of the University of Graz and a member of the Vienna Academy of Sciences, had a command of approximately thirty foreign languages, including Georgian. He was awarded honorary doctorates by universities of fourteen countries and was a member of numerous academies of sciences. The number of his published works is approximately 770.

The paper analyzes the history of the ancient Georgian manuscripts acquired by Hugo Schuchardt, including the seventh-century “Khanmeti Lectionary”, as well as his correspondence with prominent Georgian public and scholarly figures (Ilia Chavchavadze, Aleksandre Tsagareli, Petre Melikishvili, Nikolai Marr, Ivane Javakhishvili, Dimitri Janashvili, Aleksandre Khananashvili and Akaki Shanidze). Their correspondence focused primarily on issues relating to Georgian manuscripts and Georgian grammar. H. Schuchardt published numerous works on the distinctive features of the Caucasian and Georgian languages. He was the first to draw attention to linguistic phenomena that were not yet known even to Georgian specialists of his time. These included the characteristics of abruptive consonants and stress in Georgian, the nature of transitive verbs, the passive character of transitivity in Caucasian languages, the Georgian particle „ყე“ /qe/, the application of statistical methods to the

geographical distribution of the Kartvelian languages, as well as other topics. All of his works reflect his profound erudition and keen intellect. H. Schuchardt put forward his own views on the relationship among the Kartvelian languages. He was the first linguist to pave the way for the use of the term “Kartvelian languages.” Schuchardt studied both Old and Modern Georgian, Laz-Megrelian and Svan. He was familiar with the entire body of scholarly literature on Caucasian linguistics. His writings included reviews and critical articles on works by various authors (A. Tsagareli, S. Khundadze, A. Dirr, H. Adjarian and others). However, Schuchardt’s particular interests lay in Georgian manuscripts and grammar. H. Schuchardt’s scholarly work laid the foundations for descriptive and historical-comparative studies of Georgian and Kartvelian languages, which continued to be thoroughly investigated in subsequent years.

**ნუგზარ პაპუაშვილი**
**Nugzar Papuashvili**

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*
*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

# ივანე ჯავახიშვილისა და ადოლფ ჰარნაკის თანამშრომლობა ქართული პერიოდული პრესის მიხედვით

# The collaboration of Ivane Javakhishvili and Adolf von Harnack according to the Georgian periodical press

***საკვანძო სიტყვები:*** *ჯავახიშვილი. ჰარნაკი. კვლევა. თარგმნა. პერიოდიკა*

***Keywords:*** *Javakhishvili. Harnack. Research. Translation. Periodicals*

1. Adolf von Harnack-ის ქართველოლოგიური ინტერესები და ნაშრომები, ივანე ჯავახიშვილის როლი ამ ინტერესების გაღვივების საქმეში და მათი თანამშრომლობა ცნობილია, თუმცა ეს თემა ჯერჯერობით მონოგრაფიულად შესწავლილი არაა. იმისათვის, რომ ეს ხარვეზი შეივსოს, ცალკეული საკითხების მეცნიერულად დამუშავებაა საჭირო. ასეთი საკითხების რიცხვს განეკუთვნება კითხვა, აისახა თუ არა ადოლფ ჰარნაკის მიერ ქართულ კულტურასა და მეცნიერებაში შეტანილი წვლილი მის თანადროულ ქართულ ჟურნალებსა და გაზეთებში. ეს თემა დამოუკიდებელი კვლევის საგნად დღემდე არ ქცეულა, რაც განსაკუთრებით საგრძნობია დღეს, როდესაც ფართო მასშტაბით აღინიშნება ამ მეცნიერთა იუბილეები.

2. ჩანს, რომ ქართველები დიდი ინტერესით ეცნობოდნენ კორესპონდენციებს Harnack-ისა და ჯავახიშვილის თანამშრომლობაზე: ჯავახიშვილის მიერ, Harnack-ის დავალებით, „ევსტათი მცხეთელის წამების“ გერმანულად თარგმნასა და ამ თარგმანის Harnack-ის კომენტარებით აღჭურვაზე; „Harnack-ის და ერთი გერმანელი სტუდენტის“ მიერ ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ქართული ენის შესწავლის დაწყებაზე. ირკვევა, რომ ეს „გერმანელი სტუდენტი“ არის Karl Schultze, რომელმაც „აბო ტფილელის წამება“ თარგმნა გერმანულად.

3. სამი პუბლიკაცია მიეძღვნა ინფორმაციას Harnack-ის იმ რეფერატის შესახებ, რომელიც 1903 წლის 30 ივლისს პრუსიის მეცნიერებათა აკადე-

მიაში იქნა წაკითხული და რომელშიც განხილულია ნიკო მარის ნაშრომი სინას მთასა და იერუსალიმში სამეცნიერო მიზნით მოგზაურობის თაობაზე. ცალკე სტატია მიეძღვნა Harnack-ის დაინტერესებას ქართული საეკლესიო მუსიკით და ამ დარგის სპეციალისტის, ეპისკოპოს კირიონის, მოღვაწეობით. დიდი ინტერესით იკითხება სტატია დამასკოს მეჩეთში 1901 წელს სხვადასხვა ენაზე, მათ შორის ქართულ ენაზე, შესრულებული ხელნაწერების აღმოჩენის შესახებ. ამ სტატიაში ლაპარაკია ამ აღმოჩენასთან Harnack-ის კავშირზე. ამავე კორესპონდენციებიდან ცნობილი ხდება პასტორ Gustav Beermann-ის როლი Harnack-ის ქართველ მეცნიერებთან, მათ შორის, მღვდელ ვასილ კარბელაშვილთან დაკავშირების საქმეში.

1. Adolf von Harnack's interest in Georgian studies and his related scholarly works—as well as his collaboration with Ivane Javakhishvili, who played a key role in fostering this interest—are well known; however, this subject has not yet been examined in the form of a dedicated monograph. To address this gap, it is necessary to conduct a rigorous scholarly analysis of specific aspects of the topic. One such aspect is whether Adolf von Harnack's contributions to Georgian culture and scholarship were reflected in the Georgian journals and newspapers of his time. This topic has not previously been the subject of independent research—a fact that is particularly notable today, as the anniversaries of these scholars are being commemorated on a broad scale.

2. It appears that Georgians followed the correspondence regarding the collaboration between Harnack and Javakhishvili with great interest—specifically, Javakhishvili's translation of "The Martyrdom of Eustathius of Mtskheta" into German (commissioned by Harnack) and the addition of Harnack's own commentary to this translation, as well as the fact that Harnack and a German student began studying the Georgian language under Javakhishvili's guidance. It turns out that this "German student" was Karl Schultze, who translated "The Martyrdom of Abo of Tiflis" into German.

3. The early twentieth-century Georgian press followed reports on the Harnack–Javakhishvili collaboration with great interest. These publications covered Javakhishvili's German translation of the Martyrdom of Eustathius of Mtskheta at Harnack's request − complete with Harnack's commentary − as well as the study of the Georgian language undertaken by Harnack and a German student under Javakhishvili's guidance. Three articles were devoted to

Harnack's presentation delivered at the Prussian Academy of Sciences on 30 July 1903, which discussed Niko Marr's scholarly expedition to Mount Sinai and Jerusalem. A separate article highlighted Harnack's interest in Georgian church music and the pioneering work of Bishop Kirion in this field. Of particular interest is an account regarding the 1901 discovery of manuscripts, including Georgian texts, in the Umayyad Mosque in Damascus, detailing Harnack's connection to this find. Finally, this press coverage reveals the mediating role of Pastor Gustav Beermann in introducing Harnack to Georgian scholars, such as Father Vasil Karbelashvili.

**ნინო პოპიაშვილი**
**Nino Popiashvili**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*Faculty of Humanities*

# ევსტათი მცხეთელის ნათლობის ადგილის საკითხისათვის: ივანე ჯავახიშვილისა და ადოლფ ფონ ჰარნაკის მოსაზრება

# The Question of Where Eustathius of Mtskheta Was Baptized: The Views of Ivane Javakhishvili and Adolf von Harnack

***საკვანძო სიტყვები:*** *ევსტათი მცხეთელის მარტვილობა, ივანე ჯავახიშვილი, ადოლფ ჰარნაკი*

***Keywords:*** *The Martyrdom of Eustathius of Mtskheta, Ivane Javakhishvili, Adolf von Harnack*

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ მეორე უძველესი ნაწარმოებია ქართულ ლიტერატურაში იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ შემდეგ. თხზულებაში გადმოცებულია VI საუკუნის ქართლის პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური და კულტურული ცხოვრების ასპექტები. ტექსტის მეცნიერული შესწავლის დროს გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი და საკვანძო საკითხი, რომელთა შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მათ შორისაა ავტორის ვინაობისა და ტექსტის შექმნის თარიღის განსაზღვრის საკითხები, აგრეთვე ევსტათი მცხეთელის გაქრისტიანებისა და ნათლობის საკითხი.

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორის ვინაობა უცნობია. ტექსტის დაწერის სავარაუდო თარიღად მიჩნეულია მე-6 საუკუნის მეორე ნახევარი. თხზულებაში არაერთი საკვანძო საკითხია, რომელთა შესახებ სამეცნიერო სივრცეში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მათ შორის არის საკითხი, თუ როდის და სად მოინათლა ევსტათი მცხეთელი. თხზულებაში

ჩანს, რომ ევსტათი ორჯერ ინათლება: პირველად სპარსეთში, ხოლო შემდეგ მცხეთაში. სწორედ ნათლობის ადგილისა და ამ ორი ეპიზოდის ურთიერთმიმართების საკითხი წარმოადგენს სამეცნიერო განხილვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანს.

უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, როგორც ერთერთი უადრესი ჰაგიოგრაფიული თხზულება, ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით, დაინტერესებას იწვევს გერმანულ სამეცნიერო წრეებში. 1901 წელს გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის მიერ თარგმნილი ტექსტი გერმანულ ენაზე, რომელიც ადოლფ ფონ ჰარნაკის მიერ არის დამუშავებული. გერმანულ გამოცემაში განხილულია ევსტათი მცხეთელის ნათლობის საკითხიც. ივანე ჯავახიშვილისა და ადოლფ ფონ ჰარნაკის შეხედულებით, ევსტათი მცხეთელმა ქრისტიანობა მიიღო სპარსეთში, განძაკში, ხოლო იმის გამო, რომ ევსტათი არა სპარსეთის ეკლესიის შვილად, არამედ ქართლის ეკლესიის შვილად ყოფილიყო აღიარებული, ტექსტის ეს რედაქცია შეიცვალა და დაემატა ქართლში მონათვლა.

მოხსენებაში განხილული იქნება ევსტათი მცხეთელის ნათლობის ადგილის შესახებ ივანე ჯავახიშვილისა და ადოლფ ფონ ჰარნაკის მოსაზრებები, მათი არგუმენტაცია და ამ ინტერპრეტაციის მნიშვნელობა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ტექსტის ისტორიისა და ადრეული ქართული ქრისტიანობის შესწავლისთვის.

*The Martyrdom of Eustathius of Mtskheta* is the second oldest work in Georgian literature, following Iakob Tsurtaveli's *The Martyrdom of Shushanik*. The work depicts various aspects of the political, social, religious, and cultural life of Kartli in the sixth century. Scholarly research on the text has raised several important questions that remain subjects of debate. These include the identity of the author, the date of composition, and issues concerning the Christianization and baptism of Eustathius of Mtskheta.

The author of *The Martyrdom of Eustathius of Mtskheta* is unknown, and the second half of the sixth century is generally regarded as the probable date of its composition. The work raises a number of significant questions that have prompted differing interpretations in scholarly discussions. One of these concerns when and where Eustathius of Mtskheta was baptized. According to the narrative, Eustathius was baptized twice: first in Persia and subsequently in Mtskheta. The location of his baptism and the relationship between these two episodes constitute an important subject of scholarly debate.

As one of the earliest works of Georgian hagiography, *The Martyrdom of Eustathius of Mtskheta* attracted the attention of German scholars at the initiative of Ivane Javakhishvili. In 1901, a German translation of the text by Javakhishvili was published in an edition prepared by Adolf von Harnack. The German edition also addresses the question of Eustathius's baptism. According to Javakhishvili and Harnack, Eustathius embraced Christianity in Ganzak, Persia. They argue that the account of his baptism in Kartli was added to the text so that Eustathius would be recognized as a member of the Church of Kartli rather than that of Persia.

The paper examines the views of Ivane Javakhishvili and Adolf von Harnack on the place of Eustathius of Mtskheta's baptism, the arguments underpinning their interpretations, and the significance of these interpretations for the study of the textual history of *The Martyrdom of Eustathius of Mtskheta* and early Georgian Christianity.

**თინათინ საბაური**
**Tinatin Sabauri**

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Ilia State University*
*მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი*
*Faculty of Sciences and Arts*

# ტრანსნაციონალური მეხსიერების ფიგურები, როგორც ტრანსფორმაციული მეხსიერებითი სწავლის მედიატორები გლობალური მოქალაქეობის განათლების ხელშეწყობისთვის

# Transnational Figures of Memory as Mediators in Transformative Memory Learning for the Promotion of Global Citizenship Education

***საკვანძო სიტყვები:*** *ტრანსნაციონალური მეხსიერების ფიგურები, ტრანსფორმაციული მეხსიერებითი სწავლა,გლობალური მოქალაქეობის განათლება, ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობები, უცხო ენის განათლება*

***Keywords:*** *Transnational figures of memory, Transformative Memory Learning, Global Citizenship Education, German-Georgian cultural relations, Foreign language education*

ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ შეიძლება ტრანსნაციონალური მეხსიერების ფიგურები უცხო ენის სწავლების პროცესში პედაგოგიურ მედიატორებად იქცეს და ტრანსფორმაციული მეხსიერებითი სწავლის პროცესები წარმართოს. ყურადღება გამახვილებულია ისტორიული პიროვნებებისა და მათი კულტურული რეპრეზენტაციების პოტენციალზე, შექმნან საგანმანათლებლო სივრცე, რომელშიც მოსწავლეები წარსულის შესახებ განსხვავებულ პერსპექტივებს ეცნობიან და კრიტიკულად აანალიზებენ, თუ როგორ იქმნება, გადაეცემა და გარდაიქმნება კოლექტიური მეხსიერება.

ნაშრომის ძირითადი კვლევითი კითხვაა: როგორ შეიძლება ტრანსნაციონალური მეხსიერების ფიგურების ინტეგრირება უცხო ენის სწავლების პროცესში ისე, რომ ისტორიული რეფლექსია გლობალური მოქალაქეობის

განათლების განვითარებას დაუკავშირდეს? ნაშრომში შემოთავაზებულია ტრანსფორმაციული მეხსიერებითი სწავლის კონცეფცია, როგორც თეორიული მიდგომა, რომელიც მეხსიერებით მუშაობას ტრანსფორმაციული სწავლის პროცესებთან აკავშირებს. მოდელი აღწერს მოძრაობას ინდივიდუალური და კოლექტიური მეხსიერებიდან კრიტიკული რეფლექსიის, მემკვიდრეობით მიღებული ნარატივების რეკონსტრუქციისა და მეხსიერების უფრო კოსმოპოლიტური გაგებისკენ, რაც საბოლოოდ ეთიკური გლობალური მოქმედების უნარის განვითარებას ემსახურება.

თეორიული მოდელი ილუსტრირებულია ტრანსნაციონალური მეხსიერების ისეთი ფიგურების მაგალითზე, როგორებიც არიან ქეთევან დედოფალი /კატარინა ქართველი და გრიგოლ ფერაძე. მათი ბიოგრაფიები და კულტურული რეპრეზენტაციები გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ისტორიული გამოცდილებები გასცდეს ეროვნულ ჩარჩოებს და ქართული და გერმანულენოვანი კულტურული და ინტელექტუალური სივრცეების დიალოგის საფუძველი გახდეს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მათ შესაძლებლობას, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ დამკვიდრებული ეროვნული ნარატივები და შექმნან ისტორიის ალტერნატიული ინტერპრეტაციების შესაძლებლობა.

კულტურული მეხსიერების კვლევის, ტრანსფორმაციული სწავლის თეორიის, უცხო ენის განათლებისა და გლობალური მოქალაქეობის განათლების გაერთიანებით, ნაშრომი უცხო ენის საკლასო სივრცეს ტრანსფორმაციული მეხსიერებითი მუშაობის შესაძლო სივრცედ განიხილავს.

This contribution examines how transnational figures of memory can function as pedagogical mediators in foreign language education and initiate processes of transformative memory learning. It focuses on the potential of historical personalities and their changing cultural representations to create spaces in which learners encounter different perspectives on the past and critically reflect on the ways in which collective memories are constructed, transmitted, and transformed.

The central research question is: How can transnational figures of memory be integrated into foreign language learning in ways that connect historical reflection with the development of Global Citizenship Education? The contribution proposes the concept of Transformative Memory Learning as a theoretical approach that links memory work with transformative learning proce-

sses. It describes a movement from individual and collective forms of remembering towards critical reflection, the reconstruction of inherited narratives, the development of a more cosmopolitan understanding of memory, and ultimately the formation of ethical global agency.

The theoretical model is illustrated through the transnational figures of Ketevan (Katharina) the Georgian and Grigol Peradze. Their biographies and cultural representations provide examples of how historical experiences can transcend national frameworks and become subjects of dialogue between Georgian and German-speaking cultural and intellectual contexts. Particular atention is given to the ways in which such figures can challenge established national narratives and open possibilities for alternative interpretations of shared or contested histories.

By bringing together approaches from cultural memory studies, transformative learning theory, foreign language education, and Global Citizenship Education, the contribution conceptualizes the foreign language classroom as a potential space of transformative memory work. Transnational figures of memory are understood not merely as historical content, but as mediators that can facilitate perspective-taking, critical historical consciousness, intercultural understanding, and ethical engagement with the past and its contemporary implications. The study therefore contributes to the theoretical development of transformative memory pedagogy and to a deeper understanding of German-Georgian cultural and intellectual relations.

**ნარი ჩხაბერიძე**
**Nari Chkhaberidze**

*საქართველოს ბიზანტინოლოგთა ეროვნული კომიტეტი*
*Georgian National Committee of Byzantinists*

*აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი*
*Institute of Oriental Studies*

# ისტორიის მეცნიერებისა და ქრისტიანობის ურთიერთმიმართების საკითხი ივანე ჯავახიშვილისა და ადოლფ ფონ ჰარნაკის მიხედვით

# The Relationship between the Science of History and Christianity in the Thought of Ivane Javakhishvili and Adolf von Harnack

***საკვანძო სიტყვები:*** *ისტორიის მეცნიერება; ქრისტიანობა; ისტორიის საღვთისმეტყველო გაგება; ისტორიულ-კრიტიკული მეთოდი; ივანე ჯავახიშვილი და ადოლფ ფონ ჰარნაკი*

***Keywords:*** *Science of History; Christianity; Theological Understanding of History; Historical-Critical Method; Ivane Javakhishvili and Adolf von Harnack*

ნაშრომის ძირითადი საკვლევი საკითხია ისტორიის მეცნიერებისა და ქრისტიანობის ურთიერთმიმართება და ისტორიის საღვთისმეტყველო გაგების გააზრება ივანე ჯავახიშვილისა და ადოლფ ფონ აჰარნაკის სამეცნიერო მემკვიდრეობაში. კვლევის მიზანია ჰარნაკისა და ჯავახიშვილის ნააზრევთა შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგინდეს, როგორ არის მათ კვლევებში წარმოდგენილი ქრისტიანობის ისტორიის შესწავლა, ისტორიულ-კრიტიკული მეთოდი და ისტორიული კვლევის მეცნიერული პრინციპების მიმართება თეოლოგიასთან.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ისტორიულ-კრიტიკული, შედარებითი და ჰერმენევტიკული მიდგომების ერთობლიობა. ისტორიულ-კრიტიკული მეთოდი გამოიყენება წყაროთა სანდოობის, ტექსტის ჩამოყალიბებისა და ისტორიული კონტექსტის შესწავლისათვის; შედარებითი ანალიზი – ჰარნაკისა და ჯავახიშვილის სამეცნიერო მეთოდებისა და კვლევის მიზნობრივი მიმართულებების გამოსაკვეთად; ჰერმენევტიკუ-

ლი მიდგომა კი – ისტორიულ წყაროებში ასახული ქრისტიანული წარმოდგენებისა და ისტორიული მოვლენების საღვთისმეტყველო ინტერპრეტაციის გასაანალიზებლად.

კვლევის წყაროთმცოდნეობრივ საფუძველს ქმნის ჰარნაკის Lehrbuch der Dogmengeschichte („დოგმატთა ისტორიის სახელმძღვანელო“) და Das Wesen des Christentums („ქრისტიანობის არსი“), ივანე ჯავახიშვილის შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომები და მათი სამეცნიერო თანამშრომლობის ამსახველი მასალა. ამ კონტექსტში გაანალიზებულია ივანე ჯავახიშვილის მიერ 1901–1902 წლებში ბერლინში განხორციელებული სამეცნიერო თანამშრომლობა ჰარნაკთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ გერმანულენოვან გამოცემას, როგორც ქართული ქრისტიანული წყაროს ისტორიულ-კრიტიკული კვლევის კონკრეტულ მაგალითს. აღნიშნული მასალა საშუალებას იძლევა

გამოიკვეთოს, იმ ისტორიული რეალობისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ანალიზი, რომელიც თავად წყაროშია ასახული.

კვლევის შედეგები აჩვენებს ჰარნაკისა და ჯავახიშვილის მეთოდოლოგიურ სიახლოვეს – წყაროს კრიტიკულ ანალიზს, ისტორიული პროცესის რეკონსტრუქციას, ტექსტისა და ისტორიული კონტექსტის ურთიერთმიმართების შესწავლასა და მეცნიერულ არგუმენტაციას. ამასთანავე, შედარებითი ანალიზი ავლენს მათი კვლევითი მიზნობრიობის განსხვავებულ მიმართულებებსაც. ჰარნაკთან ისტორიული კვლევა უპირველესად ქრისტიანობისა და დოგმატური აზროვნების ისტორიული განვითარების ახსნას ემსახურება, მაშინ როდესაც ჯავახიშვილთან ისტორიული მეთოდი ქართული ქრისტიანული წარსულის, საეკლესიო ისტორიისა და ეროვნული ისტორიული ცნობიერების მეცნიერული რეკონსტრუქციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად გვევლინება. საბოლოოდ, ნაშრომი აჩვენებს, რომ მათი სამეცნიერო დიალოგის შესწავლა საშუალებას იძლევა უფრო ფართო პერსპექტივაში დაისვას ისტორიის საღვთისმეტყველო გაგებისა და მისი მეცნიერული კვლევის ურთიერთმიმართების საკითხი და გამოიკვეთოს ქრისტიანული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის მეთოდოლოგიური საფუძვლები.

The main research question of the paper concerns the relationship between the science of history and Christianity and the understanding of the theological interpretation of history in the scholarly legacy of Ivane Javakhishvili and Adolf von Harnack. The aim of the research is to determine, through a comparative

analysis of the thought of Harnack and Javakhishvili, how the study of the history of Christianity, the historical-critical method, and the relationship between the scholarly principles of historical research and theology are presented in their works.

The methodological basis of the research is an integration of historical-critical, comparative, and hermeneutic approaches. The historical-critical method is used to examine the reliability of sources, the formation of texts, and their historical context; comparative analysis is employed to identify the scholarly methods and research orientations of Harnack and Javakhishvili; while the hermeneutic approach is applied to analyze the theological interpretation of Christian conceptions and historical events reflected in historical sources.

The source base of the research consists of Harnack's Lehrbuch der Dogmengeschichte (Textbook of the History of Dogma) and Das Wesen des Christentums (The Essence of Christianity), relevant scholarly works by Ivane Javakhishvili, and materials documenting their scholarly collaboration. In this context, Javakhishvili's scholarly collaboration with Harnack in Berlin in 1901–1902 is analyzed. Particular attention is given to the German-language edition of The Martyrdom of Eustathius of Mtskheta as a specific example of the historical-critical study of a Georgian Christian source. This material makes it possible to identify the historical reality and Christian worldview reflected in the source its The results of the research demonstrate methodological affinities between Harnack and Javakhishvili, including the critical analysis of sources, the reconstruction of historical processes, the examination of the relationship between texts and historical context, and scholarly argumentation. At the same time, comparative analysis reveals differences in the orientations of their research objectives. For Harnack, historical research primarily serves to explain the historical development of Christianity and dogmatic thought, whereas for Javakhishvili, the historical method serves as an important instrument for the scholarly reconstruction of Georgia's Christian past, ecclesiastical history, and national historical consciousness. Ultimately, the paper demonstrates that the study of their scholarly dialogue makes it possible to raise, from a broader perspective, the question of the relationship between the theological understanding of history and its scholarly study, and to identify the methodological foundations for studying the Christian historical and cultural heritage.

**თამარ ჭუმბურიძე**
**Tamar Tchumburidze**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*
*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

# გერმანელი აღმოსავლეთმცოდნეების ურთიერთობა ქართველ მეცნიერებთან XX საუკუნის მეორე ნახევარში

# German Orientalists and Their Cooperation with the National Centre of Manuscripts in the Second Half of the Twentieth Century

***საკვანძო სიტყვები:*** *გერმანული აღმოსავლეთმცოდნეობა, ქართველოლოგია, იულიუს ასფალგი, ჰუბერტ კაუფჰოლდი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ძველი ქართული მწერლობა*

***Keywords:*** *German Georgian Studies, Julius Assfalg, Hubert Kaufhold, National Centre of Manuscripts, Old Georgian Literature*

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან განსაკუთრებით გაძლიერდა გერმანელი აღმოსავლეთმცოდნეების ინტერესი საქართველოს, მისი კულტურისა და ლიტერატურის მიმართ. მოხსენებაში განხილული იქნება გერმანელ მეცნიერთა თანამშრომლობა ქართველ კოლეგებთან, კერძოდ, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან, და მათი წვლილი ძველი ქართული მწერლობის კვლევასა და კულტურის პოპულარიზაციაში.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე და ქრისტიანული აღმოსავლეთის მკვლევარი, იულიუს ასფალგი, რომლის ქართველოლოგიურ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიხეილ თარხნიშვილთან თანაავტორობით გამოცემულ ნაშრომს „ქართული სასულიერო მწერლობის ისტორია“, სადისერტაციო გამოკვლევას „მცირე წინასწარმეტყველთა ძველი ქართული თარგმანები“, აგრეთვე მრავალ სალექსი-

კონო სტატიასა და რეცენზიას. ასფალგი წლების განმავლობაში თანამშრომლობდა ხელნაწერთა ინსტიტუტთან, მის ხელმძღვანელებთან – ილია აბულაძესთან, ელენე მეტრეველთან ზაზა ალექსიძესთან – და ცენტრის სხვა მეცნიერებთან.

იულიუს ასფალგის სამეცნიერო ტრადიციების გამგრძელებელია მისი მოწაფე ჰუბერტ კაუფჰოლდი, ქრისტიანული აღმოსავლეთის ენებისა და კულტურის მკვლევარი. იგი დიდ ადგილს უთმობდა ქართულ კულტურასა და ლიტერატურას. როგორც ჟურნალ *Oriens Christianus*-ის გამომცემელი, კაუფჰოლდი ევროპელ სამეცნიერო საზოგადოებას სისტემატურად აწვდის ინფორმაციას ქართული კულტურისა და საქართველოში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ. იგი დღესაც აქტიურად თანამშრომლობს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან და ამჟამად მისი ყოველწლიური სამეცნიერო გამოცემის, „მრავალთავის“, სარედაქციო კოლეგიის წევრია.

1975 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩამოვიდა გერმანელ მეცნიერთა ჯგუფი, ჰუბერტ კაუფჰოლდი, ფერი ლილიენფელდი და გაბრიელე ვინკლერი. ვიზიტისას მათ საქართველოს კულტურული ძეგლები და ქართული ეკლესია გაიცნეს. ამ მოგზაურობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ფერი ლილიენფელდის სამეცნიერო ინტერესები. მოგვიანებით მან ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა სტატია *A Georgian Holy Place*, რომელშიც აღწერა მოწამეთას მონასტერში სტუმრობა და თავისი დაკვირვებები და შთაბეჭდილებები. იგი შემდგომშიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებას, ეკლესიის ისტორიასა და ლიტურგიკას.

გერმანელ აღმოსავლეთმცოდნეთა ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობის შედეგად გაიზარდა უცხოელი კოლეგების დაინტერესება ძველი ქართული მწერლობითა და კულტურით.

Since the beginning of the twentieth century, German Orientalists have shown a growing interest in Georgia, its culture, and its literature. This paper examines the cooperation between German scholars and their Georgian colleagues, particularly with the National Centre of Manuscripts, and highlights their contribution to the study of Old Georgian literature and the promotion of Georgian cultural heritage.

A particularly prominent figure in this field is Julius Assfalg, a distinguished German Orientalist and scholar of Eastern Christianity. His contributions to Georgian studies include *A History of Georgian Ecclesiastical Literature*, co-

authored with Mikheil Tarkhnishvili, his doctoral dissertation *Old Georgian Translations of the Minor Prophets*, as well as numerous lexicographical articles and reviews. His academic and teaching activities at the University of Munich also deserve particular mention. For many years, Assfalg maintained close scholarly relations with the directors of the Institute of Manuscripts – Ilia Abuladze, Elene Metreveli, and Zaza Aleksidze – as well as with other members of its research staff.

Julius Assfalg's scholarly legacy was continued by his student Hubert Kaufhold, a scholar specialising in the languages and cultures of Eastern Christianity. Kaufhold has devoted considerable attention to Georgian culture and literature. As the editor of the journal *Oriens Christianus*, he has regularly introduced the European scholarly community to Georgian cultural heritage and research publications issued in Georgia. He continues to maintain active academic ties with the National Centre of Manuscripts and is currently a member of the editorial board of its annual scholarly publication *Mravaltavi*.

In October 1975, a group of German Lutherans visited Georgia. The delegation included Hubert Kaufhold, Ferry Lilienfeld and Gabriele Winkler. During their visit the scholars had the opportunity to explore Georgia's cultural monuments and become acquainted with the Georgian Church. This journey also had a significant impact on Ferry Lilienfeld's scholarly interests. Subsequently, she published an article in English entitled *A Georgian Holy Place*, in which she described her visit to the Monastery of Motsameta and her impressions of the Georgian Church. In her later work, she continued to devote particular attention to Orthodox theology, church history and liturgy.

These examples demonstrate that the longstanding cooperation between German Orientalists and their Georgian colleagues made a significant contribution to the study of old Georgian literature and the international promotion of Georgia's cultural heritage.

კონფერენციის ორგანიზატორი:
ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

Conference Organizer:
National Scientific Library

დაკაბადონდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში
თბილისი, 2026

Typesetting was performed by the Publishing House
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, 2026

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
https://www.tsu.ge/ka/publishing-house